პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

30 ივლისი 1961 წ. კვირა,

№ 110 (1746)

გავრცელების მე-17 წელი.

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი საბჭოთა საზღვაო საზღვრების ერთგულ გუშაგებს!

თბილისელი ხელგურთელები ფინალში

მოსკოვში მიმდინარეობს „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟთა და ქალთა საკავშირო შეჯიბრება. ამ საინტერესო ღონისძიებაში წარმატებით გამოდის თბილისის ვაჟთა გუნდი, რომელმაც თავის ქვეჯგუფში მოუგო სვერდლოვსკის (25:12), ალმა-ატის (18:3) ხელბურთელებს და დამარცხდა ლვოვის კოლექტივთან — 9:15. ამ უკანასკნელთან ერთად თბილისელები გავიდნენ გათამაშების ფინალში, სადაც იბრძოლებენ 1-6 ადგილისათვის.

ფრენბურთელთა საკავშირო ტურნირის შედეგები

ლენინგრადში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა ჩემპიონატი. უკანასკნელ ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადის „სპარტაკისა“ და ოდესის „ბურევესტნიკის“ გუნდები. დაძაბული ბრძოლის შედეგად შეხვედრა მოიგეს ლენინგრადელებმა — 3:2. ორივე გუნდმა დააგროვა 11-11 ქულა. მოგებული და წაგებული პარტიების უკეთესი შეფარდებით ჩემპიონის ოქროს მედლები წილად ხვდათ ოდესელებს.

როგორც ვიუწყებოდით მოსკოვის ცსკა-მ ფრენბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში ჯერ კიდევ ტურნირის დამთავრებამდე გაინაღდა პირველი ადგილი და ოქროს მედლები. უკანასკნელ ტურში ცსკა-მ დაამარცხა კიევის „ლოკომოტივი“, ოდესის „ბურევესტნიკმა“ თბილისელი თანაკლუბელები — 3:0.

ამრიგად, ვერცხლის მედლების მფლობელები გახდნენ ოდესის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელები, ბრინჯაოსი — მოსკოვის ბურევესტნიკელები.

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲛᲔᲔᲠᲗᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲛᲔᲔᲥᲕᲗᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ᲙᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘᲡ

ᲢᲣᲠᲘᲜᲘ

ᲢᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡ ᲮᲛᲚᲘᲗ ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ. ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ, ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲓᲜᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲩᲔᲛᲠᲗᲘ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ (8:7) ᲛᲝᲘᲒᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲠᲯᲔᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲡᲐᲯᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲯᲘᲚᲓᲝ — ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲒᲐᲓᲐᲔᲪᲐᲗ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲤᲐᲠᲘᲙᲐᲕᲔᲑᲡ ᲩᲔᲛᲠᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲢᲔᲜᲓᲖᲔ — ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. (ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ). ᲛᲔᲡᲢᲔᲜᲓᲣᲠᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 200 ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ. ᲕᲐᲟᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲠᲒᲕᲐᲚ ᲡᲢᲔᲜᲓᲖᲔ ᲡᲠᲝᲚᲨᲘ Ი. ᲪᲣᲠᲐᲜᲝᲕᲛᲐ 200 ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲐᲖᲘᲐᲜᲐ 197 ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ. ᲛᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲐ Ი. ᲙᲐᲞᲚᲣᲜᲘ. ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲔᲪᲐᲗ ᲐᲡ-ᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ, 93 ᲥᲣᲚᲐ ᲓᲐᲐ�გᲠᲝᲕᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲛᲐ ვ. ᲓᲔᲠᲘᲣᲒᲘᲜᲛ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ე. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ).

ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲡᲠᲝᲚᲐᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲩᲔᲛᲠᲗᲘᲝᲜᲝᲑᲐ ᲛᲔᲡᲘᲛᲔᲓ ᲛᲝᲘᲠᲯᲔᲡ Ს. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲛᲐ, ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲛᲐᲡ 300 ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔᲓᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 7 „ᲒᲐᲣᲨᲕᲐ“ ᲓᲐᲣᲨᲘᲐᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ Ლ. ᲡᲘᲓᲝᲠᲝᲕᲐᲛ (ᲠᲡᲤᲡᲠ).

ᲐᲛᲐᲡ წინათ მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წყალბურთელთა საერთაშორისო შეხვედრა.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარე ლ. გოგოლაძე თამაშის დროს.

ფოტო ვ. ტუტოვისა.

ᲘᲐᲞᲝᲓᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲘᲚᲘᲙᲔᲒᲖᲔ

28 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ, ᲡᲐᲘᲐᲠᲝᲓᲠᲝᲛᲝ ᲛᲝᲢᲝᲠᲑᲝᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ — ᲡᲐᲘᲐᲠᲝᲓᲠᲝᲛᲝ ᲠᲑᲝᲚᲐᲨᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ. 175 ᲙᲒ ᲡᲛ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲑᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ნ. ᲨᲝᲜᲘᲐᲛ.

ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ (ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ ᲛᲝᲢᲝᲙᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲐᲠᲝᲓᲠᲝᲛᲝ ᲠᲑᲝᲚᲐ) ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ.

ᲐᲖᲠᲗᲐ ᲔᲠᲗᲡᲣᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲐᲓᲐᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲠᲗᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ? ᲔᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲐᲬᲣᲮᲔᲑᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ „ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲜᲔᲜ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ. ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ. ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ. 175 ᲙᲒ ᲡᲛ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲑᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ნ. ᲨᲝᲜᲘᲐᲛ.

ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ (ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ ᲛᲝᲢᲝᲙᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲐᲠᲝᲓᲠᲝᲛᲝ ᲠᲑᲝᲚᲐ) ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘ, ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲗᲐᲑᲣᲠᲗᲨᲘ. ᲐᲛ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲯᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲠᲗᲕᲘᲡ. ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲘᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ. 175 ᲙᲒ ᲡᲛ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲑᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲛᲐ ნ. ᲨᲝᲜᲘᲐᲛ.

ᲐᲛ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠ ᲩᲐᲗᲕᲚᲐᲨᲘ (ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ ᲛᲝᲢᲝᲙᲠᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲐᲠᲝᲓᲠᲝᲛᲝ ᲠᲑᲝᲚᲐ) ᲛᲔᲝᲠᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲗᲐᲑᲣᲠᲗᲨᲘ. ᲐᲛ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲗᲐᲑᲣᲠᲗᲨᲘ. ᲐᲛ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ „ᲑᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲔᲥᲕᲛᲔᲢᲔᲛᲓᲔ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ „ᲑᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲑᲘᲜᲐᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲛᲔᲪᲘᲐᲜᲐ ᲨᲔᲡᲐᲤᲘᲡᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ, ᲠᲐᲒᲐᲠᲪᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲗᲔᲥᲕᲛᲔᲢᲔᲛᲓᲔ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘᲡ“ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ „ᲑᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ ᲗᲕᲚᲘᲓᲜᲔᲑᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲛᲔᲪᲘᲐᲜᲐ ᲨᲔᲡᲐᲤᲘᲡᲘ ᲛᲝᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ, ᲠᲐᲒᲐᲠᲪᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲗᲔᲥᲕᲛᲔᲢᲔᲛᲓᲔ.

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲗᲐᲑᲣᲠᲗᲨᲘ. ᲐᲛ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲡᲕᲔᲠᲓᲚᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲗᲐᲑᲣᲠᲗᲨᲘ. ᲐᲛ ᲬᲘᲠᲘᲚᲨᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲞᲔᲢᲘᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲑ.

ᲠᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ?

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲕᲘᲜ ᲘᲧᲕᲜᲔᲡ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲕᲘᲜᲐᲪ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ ᲓᲐᲔᲙᲘᲡᲠᲐᲗ? ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲝᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲔ. ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲒᲔᲓᲘᲡ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ. ᲞᲘᲠᲐᲓ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲐᲡᲔ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ: ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲡᲣᲚᲔᲠᲗᲘᲐ ᲛᲔ-12 ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲚᲗ, ᲗᲣ ᲛᲔ-14-ᲖᲔ. ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲕᲘᲗᲐᲛᲐᲨᲗᲝᲗ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲝᲗᲮᲔᲣᲚᲘ ᲙᲘ... ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗ ᲐᲛᲐᲦᲔᲚᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲞᲔᲢᲘᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲛ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲨᲘ. ᲩᲔᲛᲠᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ: „ᲩᲕᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲝᲗ, ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲣᲛᲘ ᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ, ᲒᲣᲚᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲕᲘᲢᲔᲮᲗ, ᲮᲝᲛ ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲔᲓᲘᲗ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ „Ა“ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ, ᲒᲐᲓᲛᲝᲕᲐᲚᲗ ᲛᲔᲝᲠᲔᲓᲐᲪ“.

ᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲧᲕᲔᲚᲡ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ Ზ

კერამიკული კომბინატის ფიზკულტურელები მოუწოდებენ

რესპუბლიკის ყველა საწარმოთა კოლექტივს!

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენთვის ალბათ უკვე ცნობილია, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა სკკპ XXII ყრილობის შესახვედრად აიღეს ვალდებულება ტურისტულ საქმიანობაში ჩააბან რესპუბლიკის მოსახლეობის 3 პროცენტი.

ზაფხული ტურისტული ლაშქრობების ჩატარებისათვის შესანიშნავი პერიოდია. რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მიერ აღებული ვალდებულების ყრილობის დღეებისათვის შესასრულებლად საჭიროა წარმოება-დაწესებულებათა ფიზკულტურული კოლექტივები მასობრივად ჩაებან ტურისტულ ჯგუფებში და გავიდნენ სალაშქრო ბილიკებზე.

გასულ წელს ჩვენი კომბინატის ახალგაზრდებმა გარდა ერთდღიანი ლაშქრობებისა, ჩაატარეს 5 მრავალდღიანი ლაშქრობა. ქალაქგარეთ მოწყობილმა გასვლებმა კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია. წელს უკვე ორჯერ ვიმოგზაურეთ ქალაქგარეთ. ამ წლისათვის დაგეგმილი გვაქვს მრავალი ექსკურსია და ტურისტული ლაშქრობა, მათ შორის 5 ორდღიანი ლაშქრობა, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მხარის ახალ მშენებლობათა და მდიდარი წარსულის გაცნობა-შესწავლას.

ძვირფასო ამხანაგებო! მასობრივად ჩავებათ ტურისტულ მოძრაობაში, შევისწავლოთ მშობლიური მხარე!

ვ. ურუშაძე — თბილისის კერამიკული კომბინატის დირექტორი; **ნ. ზახაროვა** — პარტბიუროს მდივნის მოადგილე; **ა. სისაური** — საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე; **მ. სულაბერიძე** — ალკკ კომიტეტის მდივანი; **თ. სულიკაშვილი** — ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე; **ლ. ნახუცრიშვილი, ი. აკოფოვა, ა. აკოფოვა, ა. ბარამიძე, თ. გაიდაროვა** — ტურისტული ჯგუფის წევრები.

გვჭირდება საჭურველი, რუკები

თბილისის კერამიკულ კომბინატში კარგა ხანია რაც ტურისტთა ჯგუფი ჩამოყალიბდა. ჩვენს ჯგუფს მჭიდრო კონტაქტი აქვს დამყარებული თბილისის ტურისტულ ბაზასთან, რომელიც დიდ დახმარებას გვიწევს. აქედან ვიღებთ სამარშრუტო ფურცლებს, საძილე ტომრებს, ზურგჩანთებსა და სხვ. გასულ წელს ტურისტულმა ჯგუფმა 5 ორდღიანი ლაშქრობა მოაწყო შემდეგი მარშრუტებით: 1. თბილისი–ზედაზენი–თბილისი; 2. თბილისი–შიომღვიმე–თბილისი; 3. თბილისი–ბაზალეთის ტბა–თბილისი; 4. თბილისი–ბეთანია–თბილისი და 5. თბილისი–არმაზის ხეობა–თბილისი. ამ მარშრუტებზე ჩატარებული ლაშქრობებით ტურისტული ჯგუფის წევრები ყოველთვის კმაყოფილნი რჩებოდნენ, ისინი ლაშქრობისას ეცნობოდნენ ჩვენი კუთხის მდიდარ ისტორიულ წარსულს. ჩვენს მოლაშქრეებს ტურისტული გასვლებისას თან მიაქვთ ბურთი, ჭადრაკი, შაში და ბუნების თვალწარმტაც წიაღში აწყობენ ხოლმე შეჯიბრებებს.

კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა შორის ტურისტული ჯგუფის ნაყოფიერმა მუშაობამ დიდი ინტერესი გამოიწვია, ახლა ტურისტულ ჯგუფში ჩაწერას ბევრი მსურველი აღმოჩნდა.

ერთიც გვინდოდა გვეთქვა. მართალია, თბილისის ტურისტული ბაზა ხშირად გვეხმარება ლაშქრობის ორგანიზაციაში, მოლაშქრეთა აღჭურვაში, მაგრამ კარგა იქნებოდა, რომ ჩვენს მაღაზიებში, კერძოდ, სპორტულ მაღაზიაში საკმაო რაოდენობით იყოს გასასყიდად ტურისტის რუკები (სხვადასხვა მარშრუტებით), ტურისტული ლიტერატურა და სხვადასხვა აღჭურვილობა, ეს საგრძნობლად გაგვიადვილებდა ჩვენს მუშაობას და საინტერესოს გახდიდა ყოველ ლაშქრობას.

ვ. ნიკოლაიშვილი,
თბილისის კერამიკული კომბინატის საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

ტურისტები გავიდნენ ბილიკებზე

ეს იყო გასული წლის ზაფხულს. თბილისის კერამიკული კომბინატის ახალგაზრდები ფრენბურთის მოედანზე თავისი ამხანაგების შეჯიბრებას უყურებდნენ. თამაში დამთავრდა. გამარჯვებულნი და მათი გულშემატკივრები კომბინატის კარებისაკენ გაემართნენ. ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ვ. ნიკოლაიშვილი კომბინატის რამდენიმე მუშასთან ერთად მიდიოდა. ახალგაზრდები ცხარედ კამათობდნენ. ერთი ამტკიცებდა, რომ ჯობს მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობის მოწყობა, მეორე — ერთდღიანზეც თანახმა იყო. ახალგაზრდები მეორე დღეს კომკავშირის კომიტეტის ოთახში შეიკრიბნენ და საბოლოოდ გადაწყდა, რომ კომბინატის მუშა-მოსამსახურეებისაგან შეიქმნას ტურისტული ჯგუფი. პირველად ჯგუფში ჩაწერის მსურველთა რაოდენობა მცირე იყო. ამან ინიციატორებს გული არ გაუტეხა. ჩქარა დადგა შაბათიც და ახალგაზრდა ტურისტები სალაშქრო ბილიკზე გავიდნენ. მათ გეზი მცხეთისაკენ აიღეს. პირველმა ლაშქრობამ — დიდი სიამოვნება და სიხარული მოუტანა მოგზაურებს. მანამდე ბევრი მათგანი ჯვარსა და სვეტიცხოველს მატარებლიდან თუ მოჰკრავდა თვალს. ახლა კი ისინი ახლოს მივიდნენ, ადგილზე ნახეს ჩვენი წარსულის შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობანი...

მთავარი დაწყება იყო. ჩქარა კომბინატის ტურისტული ჯგუფი მრავალრიცხოვანი გახდა. საქმეც ბევრი გაუჩნდათ ხელმძღვანელებს — მარშრუტის შერჩევა-დადგენა, მოლაშქრის აღჭურვილობის შოვნა და ტურისტულ ლაშქრობაში გასვლის ნებართვა. ნებართვა ნამდვილად საჭიროა, მაგრამ მისი აღების პრობლემად გადაქცევა კი — მიზანშეუწონელი. აი, ერთი დეტალი: ერთხელ მოგზაურებს უთხრეს „თუ თქვენთან ერთად დირექტორი ან პარტბიუროს მდივანი არ იქნება, ლაშქრობაში თქვენი გასვლა არ შეიძლება".

ამ სურათზე აღბეჭდილია თბილისის კერამიკული კომბინატის ტურისტები ზედაზენში. ჩვენი რესპუბლიკის ამ შესანიშნავი კუთხის სილამაზეს არა ერთი მოგზაური მოუხიბლავს. იქ ასვლა ახალბედას შეიძლება ცოტა გაუჭირდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მონასტრის მიდამოების დაბურული ტყე და ანკარა ცივი წყარო, რომელსაც ეს ტურისტები უხვად ეწაფებიან, დაღლას სწრაფად გაფანტავს.

ენთუზიაზმმა თავისი გაიტანა. კომბინატელები აქტიურად ჩაებნენ მშობლიური მხარის შესწავლის ფერხულში. ბევრი მათგანი ტურისტულ ლაშქრობაში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა მამაცთა სპორტის — ალპინიზმის სამყაროში გადაიყვანა. მოგზაურობაში მიღებულმა წვრთნამ კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს — ლ. ნახუცრიშვილს და თ. გაიდაროვას ალპინისტურ ასვლაში მონაწილეობის სურვილი აღუძრა. ამ ერთი თვის წინათ ისინი მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს პროფკავშირთა მიერ მოწყობილ ალპინისტურ ლაშქრობაში მწვერვალ ყუროზე. ყაზბეგის ხეობაში გატარებული დღეების შემდეგ ახალბედა ალპინისტები გაკაჟებულნი და ახალი მწვერვალების დაპყრობის სურვილით დაბრუნდნენ თბილისში...

ტურისტული მოძრაობის მოთავეები ი. და ა. აკოფოვები, გ. კვაჭაძე, მ. აბუთიძე, ა. ბარამიძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი მ. სულაბერიძე და სხვები არიან. მათ უკვე დალაშქრეს საგურამო, ზედაზენი, ჯვარი, ბაზალეთის ტბა, არმაზი, ბაგინეთი, ძეგვი, შიომღვიმე, მცხეთა, ბეთანია და კიდევ ვინ მოთვლის...

კომბინატელებს ახალი გეგმებ[ი] აქვთ. მათ ამ ზაფხულს კიდევ მრავალი ლაშქრობა უნდა ჩაატა[როს], უფრო ახლო გაეცნონ მშობ[ლი]ურ მხარეს. ახალგაზრდებთ[ან] ერთად ტურისტულ საქმიანობ[აში] ხანშესულებიც მონაწილეობე[ნ]. მექანიკური საამქროს მუშა ა. ბაუ[კოვი] უკვე სამოც წელს გადასც[და], მაგრამ არც ის ამბობს უა[რს] ძნელად სავალი ბილიკების გად[ა]ლახვაზე. როგორც კი კომბინატ[ში] სალაშქროდ მზადება დაიწყებ[ა], ა. ბაუკოვიც მზადებას იწყებს [და] თან ახალგაზრდებს ეუბნება:

— მეც წამიყვანეთ, არ დამტოვ[ო]თ, თორემ... თითს დაუქნევს ახალ[]გაზრდებს და კეთილი ღიმილი [] დაჰკრავს ხოლმე სახეზე. ა. ბა[უ]კოვი უყვართ კომბინატელ[ებს], ტკბილი კაცი და შესანიშნავი პრ[ო]პაგანდისტია.

კომბინატში მარტო ტური[ზმი] როდია კარგად განვითარებული. სპორტის სხვა სახეობებშიც [—] ფრენბურთში, კალათბურთში, ჭ[ა]დრაკში და ჭიდაობაშიც ოსტა[]დებიან მუშა-მოსამსახურეები. [] რა აქ ფრენბურთისა და კალათბ[ურ]თის კომბინირებული მოედანი [] ვა მწყობრში. დღე არ გავა, [] ახალგაზრდებმა არ მიაკითხონ [] ლი სპორტული მოედნის მშენ[ებ]ლობას, თვითონაც მუშაობენ [] მოწყობაზე...

კომბინატელებისათვის ყველ[აზე] მთავარი შრომის ფრონტია. ნახ[ევა]რი წლის გეგმა თბილისის კერ[ამი]კულმა კომბინატმა გადაჭარბ[ებით] — 121,2 პროცენტით შეასრუ[ლა]. ეს პატარა მიღწევა [არ]დია. ახლა კომბინატ[ის] 8 ბრიგადა კომუნ[ის]ტური შრომის ბრიგადის სახ[ელს] ატარებს, დანარჩენი 22 ბრიგა[და] ამ საპატიო სახელისათვის იბრძ[ვის]. ტურისტული ჯგუფის აქტიური [წე]ვრი ა. აკოფოვა მოწინავე მუშ[აა]. მან ახლახან შეადგინა ბრიგად[ა] კაცის შემადგენლობით და [] გადიდებული ვალდებულებ[ა], რომლის შესრულებასაც სკკპ X[XII] ყრილობას უძღვნის. და კ[იდევ] მთავართაგან მთავარი—სკკპ X[XII] ყრილობასთან დაკავშირებით [კომ]ბინატის მშრომელებმა ამ დღ[ეებ]ში აიღეს ვალდებულება, რომ [] ბლიური საწარმოო კომუნისტ[ური] შრომის საწარმოდ გადააქცი[ონ].

ჯ. ენუ[...]

ლელო
მე-2 გვ. № 110 (1746)

ორი ჩემპიონი

საბჭოთა კავშირის პირველობა ჭაბუკთა შორის თავისუფალ ჭიდაობაში

კალინინგრადი. (ჩვენი სპეც. კორესპონდენტი). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის საუწყებათაშორისო პირად-გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 კოლექტივის 120 ნორჩი სპორტსმენი.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი აიღო სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" ნაკრებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ „შრომითი რეზერვების", ხოლო მესამეზე „განთიადის" მოჭიდავეები.

ჩემპიონატში ჩვენი რესპუბლიკიდან 23 მოჭიდავე გამოდიოდა. ორმა მათგანმა პირად ჩათვლაში პირველი ადგილები დაიკავეს. ესენი არიან: დინამოელი ს. გოგოლაძე — ქვემსუბუქი წონა და „შრომითი რეზერვების" წარმომადგენელი რ. მჭედლიშვილი — საშუალო წონა. მეორე ადგილები წილად ხვდათ ბათუმელ გ. გოგიჩაიშვილს—მჩატე წონა, სპარტაკელ ს. ნიკოლოზაშვილს — ქვესაშუალო წონა და ქუთაისის „განთიადის" ორ მოჭიდავეს რ. გუბალაძეს — მძიმე წონა და გ. გვიმრაძეს—ქვემძიმე წონა. მესამე ადგილები დაიკავეს ბათუმელმა ნ. ჰყონიამ—საშუალო წონა და ა. სიქტურაშვილმა („კოლმეურნე", მძიმე წონა).

• • •

საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. თიკანაძემ თავისი ხანგრძლივი სპორტული მოღვაწეობის მანძილზე აღზარდა ნიჭიერ მოჭიდავეთა მთელი პლეადა.

მ. თიკანაძე წარმატებით განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას — იგი ახალგაზრდული ენერგიით ზრდის ხალიჩის ახალ ოსტატებს. სურათზე თქვენ ხედავთ მ. თიკანაძეს თავის მოწაფეებთან: გოგოლაძესთან (მარცხნივ) და ვალიშვილთან საუბრის დროს.

შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის.

თბილისის „ლოკომოტივი" კაუნასში შეხვდა ადგილობრივ „ბანგას". თბილისელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:1.

• • •

ლიეპაიაში თამაშობდნენ ადგილობრივი „ხელმაში" და სოხუმის „რიწა".

შეხვედრა დამთავრდა სოხუმელთა გამარჯვებით — 1:0.

მოსკოვი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ცსკა — „კაირატი" (ალმა-ატა).

მატჩი მოიგო ცსკა-მ — 1:1.

ვ. ბრუმელი— სპორტის დამსახურებული ოსტატი

არც ისე დიდი ხანია, რაც მსოფლიოს მძლეოსნობის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში დადგა — ამერიკელ ჯ. თომასისა და საბჭოთა სპორტსმენ ვ. ბრუმელის დუელი. მართალია, ოთხ წინა შეხვედრაში (სამჯერ ამერიკაში და ერთხელ რომის ოლიმპიადაზე) უპირატესობა ბრუმელის მხარეზე იყო, მაგრამ მსოფლიო რეკორდს მაინც ამერიკელი ფლობდა, წელს ეს უპირატესობაც წაართვა თავის საშიშ მეტოქეს ბრუმელმა, ხოლო აშშ-საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა მატჩზე მეხუთედ დაამარცხა თომასი და თავისივე მსოფლიო რეკორდი 224 სმ-მდე აიყვანა.

სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ ამ შესანიშნავი მაჩვენებლებისათვის ვ. ბრუმელს მიანიჭა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

დინამოელთა სპარტაკიადა

ს ა მ ბ ო

დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა სამბოში. შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მოჭიდავეებმა ა. კიკნაძემ (მძიმე წონა) და დ. ბერუაშვილმა (ქვემძიმე წონა). მათ დაიკავეს პირველი ადგილები და ყველა ბრძოლა მოიგეს წმინდად. თავიანთ წონით კატეგორიებში მეორე ადგილებზე გამოვიდნენ ა. კაჩმაზოვი და ა. მარტყოფლიშვილი. ა. ქევხიშვილს წილად ხვდა მესამე ადგილი.

ქ. ნინიაშვილი,
სპორტის ოსტატი.

• • •

კალათბურთი

რიგაში დამთავრდა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება კალათბურთში. გამარჯვებულის გამოსავლენად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისისა და მოსკოვის თანაკლუბელთა შეხვედრას. ეს მატჩი შეუპოვარ ბრძოლაში მოიგო მოსკოვის „დინამომ" — 70:63.

ამრიგად „დინამოს" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი კალათბურთში წელს პირველად გახდა მოსკოვის გუნდი. თბილისელი სპორტსმენები მეორე ადგილზე გამოვიდნენ.

სურათზე: საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდისა და თბილისის „დინამოს" წევრი ვ. უგრეხელიძე თამაშის დროს.

ბრძოლისუნარიანი, მონოლითური კოლექტივი

(დასასრული)

თბილისელთა მთავარ მეტოქეებს კი სწორედ ეს უბანი ჰქონდათ მოგვარებული. რიგის ვეფ-ის შემადგენლობაში იყო ორი გიგანტი ვ. ეგლიტი (208 სმ) და ბ. დრაკე (204 სმ). კიეველებსაც ჰყავდათ რამდენიმე ორმეტრიანი კალათბურთელი — ა. არნოლდოვი, ა. შევჩენკო, ა. იაგნიკი. ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა გუნდებშიც, მაგრამ ჩვენ ესეც გვყოფნიდა. ჩვენს დღეში იყვნენ მხოლოდ ვილნიუსელი კოლეგები — ჩვენთან ერთად წინასწარ განწირულნი „ბ" კლასისათვის.

პირველი შეხვედრები

ყველაფერ ზემოთქმულს კიდევ ერთი უსიამოვნო ფაქტი დაერთო თან. პირველსავე ტურში კენჭისყრის შედეგად ერთმანეთს შეხვდა თბილისის „ბურევესტნიკი" და ვილნიუსის „სპარტაკი". თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მატჩის მოგებას, ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ მოხდა ისე, რომ „ბურევესტნიკმა" წააგო იგი სამი ქულის განსხვავებით.

დღეს უკვე ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მატჩის მოგება ჩვენ თავისუფლად შეგვეძლო. უფრო მეტიც, იგი უკვე მოგებული იყო, ნერვებს რომ არ ეღალატა ზოგიერთი კალათბურთელისათვის. ასე იყო თუ ისე, გუნდმა პირველივე შეხვედრა წააგო, ისიც მთავარ მეტოქესთან და ამ ფაქტს ველარსად გავექცეოდით.

მაგრამ წაგება თურმე მომავლის კარგი მაგალითი ყოფილა. ყოველშემთხვევაში, ამ დამარცხებამ ჩვენს გუნდს თავის ძალებში რწმენა შემატა. ახალგაზრდულ კოლექტივს თურმე შეუძლია თამაში და საკმაოდ კარგადაც. ასეთი აზრი გამოთქვეს დასაწყისშივე კალათბურთის საკავშირო ფედერაციის მდივანმა ნ. ბეშკარევმა, შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა ვ. ნიგაჩოვმა და სხვა სპეციალისტებმა.

მეორე შეხვედრა თბილისის გუნდმა მოუგო ალმა-ატის კოლექტივს, მაგრამ ორ მომდევნო მატჩში მან დამარცხება განიცადა ბაქოს და ტარტუს კალათბურთელებისაგან. სამი შეხვედრა წააგო ზედიზედ ვილნიუსის „სპარტაკმაც", მაგრამ მან ჩამოიშორა ჩემპიონატის უძლიერესი კოლექტივები — რიგის ვეფი, კიევის არმიელთა კოლექტივი და სვერდლოვსკის გუნდი.

ამაღლების გზაზე

უმრავლესობის აზრით ჩვენი გუნდი ამაღლების გზას დაადგა 7 ივლისს, როდესაც მან შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში". ამ გამარჯვებისათვის ნიადაგი მომზადდა წინა დღეებში. წარუმატებელი სტარტის შემდეგ ჩვენს გუნდს თითქოს ჩამოსცილდა ზედმეტი ნერვიულობის გრძნობა. შეხვედრის წინ გარჩევაზე გუნდის წევრებმა გადაწყვიტეს თავისუფლად თამაში. —თუ წავაგებთ, წავაგოთ, ამბობდნენ ისინი, კარგი თამაში მაინც ვუჩვენოთ!—იყო საერთო აზრი. და აი მოედანზე გამოვიდა სულ სხვა გუნდი—ყოველგვარი შინაგანი მარწუხებისაგან განთავისუფლებული კოლექტივი.

მასპინძლის წინააღმდეგ თამაში ყველგან ძნელია. ამ მხრივ გამონაკლისს არც სვერდლოვსკი წარმოადგენდა, მაგრამ მატჩმა დასაწყისშივე ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ადგილობრივ გულშემატკივართა იმედებს ბზარი შეეპარათ. სვერდლოვსკელთა მთავარი ძალა ა. კანდელი საკმაოდ მოქნილი და ჯგუფური დაცვით ნეიტრალიზებული აღმოჩნდა, ამან კი დაღი დაასვა სხვების თამაშსაც. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ვ. ნოვიკოვი და სვერდლოვსკელთა მეორე სნაიპერი ლ. შალიმოვი ვეღარ ესროდნენ ჩვეული სიმსუბუქით. დაირღვა მექანიზმის მთლიანობა და შეხვედრის ბედიც გადაწყდა.

სვერდლოვსკის ძლიერ კოლექტივთან გამარჯვებამ აღაფრთოვანა გუნდის ყველა წევრი. რიგის ვეფთან გამარჯვება დადგა დღის წესრიგში მთელი სიგრძე-სიგანით. და ეს ამოცანაც წარმატებით იქნა გადაჭრილი. რიგელთა მწვრთნელმა ა. კრაუკლისმა ყველაფერი სცადა წარმატების მისაღწევად. იყო მომენტი, როდესაც მოედანზე ორივე გიგანტი ვ. ეგლიტი და ბ. დრაკე თამაშობდა. ჩვენი გუნდი მაშინ სისწრაფის ხარჯზე ახდენდა სიმაღლის კომპენსაციას. ამ გამარჯვებით თბილისის გუნდმა საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. მას დარჩა მხოლოდ ერთი თამაში კიევის არმიელებთან.

ამ ხნისათვის ჩვენი გუნდი ყველაზე პოპულარული კოლექტივი გახდა სვერდლოვსკში, რომლის ძალა და უნარი უკვე საკმაოდ მაღლა ფასდებოდა. და თბილისელმა სტუდენტებმა კიდევ ერთი მძაფრი ბრძოლა გადაიტანეს აღიარებულ ფავორიტთან. ეს იყო კოლექტივის მონდომების, სიმტკიცის და ბრძოლისუნარიანობის შესანიშნავი მაგალითი, რომლის წინაშე შედრკა კიეველთა დაცვა. ყოველ წუთს ახალი წარმატება მოჰქონდა გუნდისათვის. დასაწყისშივე მოპოვებული უპირატესობა ჩვენმა კალათბურთელებმა მეორმოცე წუთამდე შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს. ეს გამარჯვება არ იყო უბრალო წარმატება, იგი ნიშნავდა „ა" კლასში დარჩენის სრულ გარანტიას.

ჩვენმა კალათბურთელებმა დაამთავრეს თამაში და ახლა უკვე ტრიბუნებიდან უყურებდნენ რიგისა და სვერდლოვსკის გუნდების ბრძოლას, რომლის შედეგი საკმაოდ კურიოზულ მდგომარეობას ქმნიდა. ვილნიუსის „სპარტაკი" სამი ქულით ბოლო ადგილზე იმყოფებოდა. რიგის გუნდი წაგების შემთხვევაში ლიტველებთან ერთად დატოვებდა „ა" კლასს, მოგების შემთხვევაში კი გადიოდა პირველ ადგილზე და თავის უსიამოვნო მისიას კიევის გუნდს აბარებდა. ეს მატჩი მოიგო ვეფმა, ხოლო „ა" კლასი ვილნიუსისა და კიევის გუნდებმა დატოვეს.

სვერდლოვსკის ტურნირი იყო სტუდენტთა ახალგაზრდული კოლექტივის შესაძლებლობათა მკაცრი გამოცდა, რომელიც გუნდის თორმეტივე წევრმა წარმატებით ჩააბარა. გუნდში არ იყო წამყვანი და მეორეხარისხოვანი როლები. კოლექტივის ყველა წევრი ერთნაირი პასუხისმგებლობით, მონდომებით და ენერგიით სჭედდა იმ წარმატებას, რომელმაც მას უძლიერესთა რიგებში ყოფნის უფლება მიანიჭა.

სსრ კავშირის 1961 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყების წინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული იყო გათამაშების დებულების ყველა უმნიშვნელოვანესი პუნქტი. კერძოდ, ის, თუ როგორ იწარმოებს ქულების ჩათვლა ფინალურ ჯგუფში, აგრეთვე, როგორ მოხდება გუნდების გადასვლა „ბ“ კლასიდან „ა“ კლასში.

ანალოგიურ საკითხზე პასუხი იქნა გაცემული ჩვენს განყოფილებაში „ლელო“ პასუხობს“, მაგრამ რედაქციაში კვლავ შემოდის წერილები ამავე შეკითხვებით. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ერთხელ კიდევ გავცეთ პასუხი ამ ორ შეკითხვაზე.

1. „ა“ კლასში მოთამაშე გუნდებს დასკვნითი თამაშებისათვის როგორც I-X, ისე XI-XXII ადგილებისათვის თან გაჰყვებათ ქულათა მთელი რაოდენობა. რასაც ისინი დააგროვებენ ქვეჯგუფში. მაგალითად, მოსკოვის „ტორპედო“ ეჭვს გარეშეა მოხვდება ფინალურ ჯგუფში (I-X ადგილები), ხოლო ვილნიუსის „სპარტაკი“ ამ შანსს პრაქტიკულად მოკლებულია, მაგრამ მათს შორის წინასწარ შეჯიბრებაში ნათამაშევი მატჩების შედეგები ორივე გუნდს ეწერება საბოლოოდ (შარშან დასკვნით მატჩში ქულების დაგროვება ხდებოდა თავიდან).

მაგრამ ფინალში ერთი ქვეჯგუფიდან გასული გუნდები ერთმანეთს შორის აღარ ითამაშებენ. მაგალითად, თბილისის „დინამო“ და მოსკოვის „ტორპედო“ პირველობის მატჩებში წელს ერთმანეთს აღარ შეხვდებიან (შარშან იყო შემთხვევები, რომ გუნდებს შორის შედეგი 4-4 მატჩი).

2. „ბ“ კლასიდან „ა“ კლასში გადასვლა წელს ხდება შემდეგნაირად: რსფსრ-სა და უკრაინის ჩემპიონები უშუალოდ გადადიან „ა“ კლასში იმ გუნდების ნაცვლად, რომლებიც ამ რესპუბლიკების კოლექტივებს შორის დაიკავებენ უარეს ადგილებს.

რაც შეეხება მოკავშირე რესპუბლიკებს, აქ პირველ და მეორე ზონებში გამარჯვებული გუნდები, აგრეთვე „ა“ კლასში მოკავშირე რესპუბლიკათა გუნდებს შორის უკანასკნელ ადგილზე გამოსული გუნდი, ე. ი. სულ 3 (რსფსრ-სა და უკრაინის გარდა) ერთმანეთს შორის ორ წრედ ითამაშებენ ერთ რომელიმე ნეიტრალურ ქალაქში და გამარჯვებული მიიღებს 1962 წელს „ა“ კლასში მონაწილეობის უფლებას.

1962 წლიდან რსფსრ-ს, უკრაინის ჩემპიონი, აგრეთვე „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა ზონების საუკეთესო გუნდი „ა“ კლასში გადავლენ, აქ ბოლო სამ ადგილზე გამოსული გუნდების საცვლად.

მასპინძლების იდეამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა

XVII ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე კარგა ხნით ადრე რომში ჩავიდნენ იაპონიის ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელები, ექსპერტები, რომლებიც დაწვრილებით გაეცნენ იტალიელ კოლეგების მუშაობას სპორტსმენთა მიღების, მოწყობის, კვების, აგრეთვე სპორტული ბაზების მომზადების საქმეში. იაპონელ მოღვაწეებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ოლიმპიურმა რომმა. მაგრამ უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარში მათ განაცხადეს, რომ უკეთესად მოაწყობენ XVIII თამაშებს ტოკიოში. ამასთან ისინი ამტკიცებდნენ, რომ იაპონიის დედაქალაქში მიიღებენ გაცილებით მეტ ხალხს. იაპონელთა შეპირება შეპირებად დარჩა, ხოლო საქმემ სხვა მიმართულება მიიღო.

რომის ოლიმპიადის შემდეგ საერთაშორისო კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა წამოაყენა ყველასათვის მოულოდნელი წინადადება თამაშების პროგრამის შემცირების შესახებ. ამ ამბავმა დიდი დავა და პროტესტი გამოიწვია მსოფლიოს სპორტულ პრესაში.

ყველაფერი უნდა გაერკვეა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათენის სხდომას და პროგრამის შემცირების მოწინააღმდეგეებს იმედი ჰქონდათ, რომ მომავალი თამაშების ორგანიზატორები მხარს დაუჭერდნენ მათ, მაგრამ ასე არ მოხდა. იაპონელები ათენში ჩავიდნენ სულ სხვა გადაწყვეტილებით. ნაცვლად იმისა, რომ მხარი დაეჭირათ პროგრამის შემცირების მოწინააღმდეგეთა სამართლიანი მოთხოვნებისათვის პირიქით, იაპონელები სიტყვის გამტეხნი გამოდგნენ და პროგრამის შემცირების მომხრეთა „ბანაკში“ აღმოჩნდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ უფრო მიზანშეწონილია ოლიმპიადის პროგრამა განისაზღვროს 18 სახეობით. მაგრამ ამ წინადადებამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა და ფარული კენჭისყრის შედეგად მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ტოკიოს ოლიმპიური თამაშები ჩატარდეს 20 სახეობაში — კალათბურთი, კრივი, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა, ძიუ-დო, წყალბურთი, ველოსპორტი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, ბაიდარებით და კანოეთი ნიჩბოსნობა, ცხენოსნობა, საიალქნო სპორტი, ცურვა, სროლა, ძალოსნობა, მძლეოსნობა, ფარიკაობა, ფეხბურთი, ბალახის ჰოკეი და თანამედროვე ხუთჭიდი.

ასე, რომ იაპონელთა იდეამ ათენში კრახი განიცადა, მაგრამ თავიანთ პრესაში ისინი ჯერ კიდევ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ათენის სესიის სამართლიან გადაწყვეტილებათა გამო. მათ ერთი რამ უნდა ახსოვდეთ — ოლიმპიური თამაშების იდეა ურღვევია და მას ვერავითარი ძალა ვერ შეცვლის.

სურათზე: რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე სპორტის ოსტატი რ. კაჭახიძე ღერძზე ვარჯიშის დროს.

ფოტო გ. ყორუოლიანისა.

რამდენიმე სტრიქონით

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დამთავრდა მსოფლიო პირველობის გათამაშება საწყლოსნო სლალომში. გამარჯვება მოიპოვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები.

• • •

ნიუ-იორკში გრძელდება ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით გამოდის პრაღის „დიუკლა“. ამ გუნდს არა აქვს არც ერთი დამარცხება და ირლანდიასთან დარჩენილი მატჩის მიუხედავად განაღდებული აქვს ფინალში მონაწილეობის უფლება.

• • •

იაპონია გულმოდგინედ ემზადება მომავალი ოლიმპიური თამაშებისათვის. როგორც ტოკიოს გაზეთები იუწყებიან, იაპონიის სპორტსმენები წელს მონაწილეობას მიიღებენ სოფიის უნივერსიადაში 85 კაცის შემადგენლობით. ეს იქნება კიდევ ერთი რეპეტიცია ოლიმპიური გუნდის დაკომპლექტების გზაზე.



ესტაფეტა

ნახ. გ. თავაძისა.

ეს ათეული

კისა აქვს სასაცილო

სიეტლში (აშშ), ზამთრის ერთ-ერთ დღესასწაულზე გ. ნიუელმა და ა. ოდეტიმ სწრაფდაშვების ტრასაზე გამოიყვანეს არაჩვეულებრივი მონაწილე — სამი წლის მაიმუნი, სახელად კოკი.

ყველასათვის მოულოდნელად მაიმუნი ოდნავადაც არ დაბნეულა. იგი შესანიშნავად დაეშვა მთიდან და წარმატებით განვლო ფინიში. ცხადია, სანახაობათა ორგანიზატორებს მაიმუნთან ბრძოლაში დამარცხების შემდეგ აღარაფერი ჰქონდათ სასაცილო.

ქერსონი უარზეა

ბრაზილიის ნაკრების ახალი მწვრთნელის ა. მორეირას ერთ-ერთი საყვარელი ფეხბურთელია „ფლამენგოს“ ჰაბუკი ცენტრფორვარდი ქერსონი, რომელმაც ბრაზილიის ნაკრებში რამდენიმეჯერ შეცვალა ავადმყოფი პელე და თვალსაჩინო ოსტატობაც გამოამჟღავნა. ქერსონი ჩილში გასამგზავრებელი გუნდის მთავარ კანდიდატად ითვლება.

ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ დაახლოებით როგორი იქნება ნაკრების თავდასხმის შემადგენლობა, მწვრთნელმა მოკლედ მოუჭრა: „აქ ნათელია მხოლოდ პელეს საკითხი. დანარჩენებმა უნდა დაამტკიცონ თავიანთი ძალა“.

ამას წინათ „ფლამენგომ“ წარმატებით იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქერსონმა, რომელმაც მოხიბლა სპეციალისტები. ახალგაზრდა ფეხბურთელს შეუჩნდა იტალიის კლუბი „ბოლონია“, რომლის ემისარი დიდხანს ესაუბრა „ფლამენგოს“ ხელმძღვანელობას. ქერსონს აღუთქვეს 20 მილიონი კრუზეირო, წელიწადში ორჯერ უფასო გამგზავრება ბრაზილიაში და სხვა პირობები. ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრის შემთხვევაში „ბოლონია“ თანახმა იყო ხანგრძლივი დროით გაენთავისუფლებინა ფეხბურთელი, რათა იგი მომზადებულიყო მსოფლიო ჩემპიონატისათვის.

ყოველივე ამაზე ქერსონმა უარი განაცხადა. მან „ბოლონიის“ წარმომადგენელთან მოლაპარაკება შეწყვიტა იმ მიზეზით, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე არ აპირებს სამშობლოს დატოვებას.

ზიმანიაკი იტალიაში

როგორც პოლონეთის სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, იტალიის პირველი ლიგის კლუბმა „კატანიამ“ ბოლოსდაბოლოს დაიყოლია გფრ-ს გამოჩენილი ფეხბურთელი ჰორსტ ზიმანიაკი გადავიდეს იტალიაში. ჰ. ზიმანიაკი 1958 წელს აღიარებულ იქნა მსოფლიოს VI ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ და მსოფლიოს იდეალური ნაკრების წევრად.

მსოფლიო ჩემპიონატის მოახლოებასთან დაკავშირებით „კატანიამ“ ვალდებულება იკისრა ზიმანიაკი გაანთავისუფლოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში მონაწილეობისათვის, ხოლო ჩილში გამგზავრების წინ მისცეს ხანგრძლივი შვებულება.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დადმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЦ 05609